www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობით დაკავებული საწარმოების სტატისტიკური გამოკვლევის ძირითადი შედეგები

2017

15.10.2018
www.geostat.ge

15.10.2018

საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობით დაკავებული საწარმოების სტატისტიკური გამოკვლევის ძირითადი შედეგები

(2017 წელი)

2017 წელს საქართველოში საფინანსო მომსახურების საქმიანობით დაკავებული 2379 საწარმო[1] ფუნქციონირებდა, რომელთა დეკლარირებულმა შემოსავლებმა 4610,9 მლნ. ლარი შეადგინა. აქედან უდიდესი ნაწილი (74,0 პროცენტი) მიეკუთვნება საპროცენტო და მასთან გათანაბრებულ შემოსავლებს, 10,4 პროცენტი მოდის საკომისიოებზე, ხოლო დარჩენილი 15,6 პროცენტი სხვა სახის შემოსავლებზე ნაწილდება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საფინანსო მომსახურების საქმიანობით დაკავებული საწარმოების შემოსავლების სტრუქტურა 2017 წელს:

გრაფიკი №1

საფინანსო მომსახურების საქმიანობით დაკავებული საწარმოების შემოსავლების სტრუქტურა 2017 წელს



[1] საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი (სეკ 006-2016: განყოფილება 64 - საფინანსო მომსახურების საქმიანობები, სადაზღვევო და საპენსიო ფონდების საქმიანობის გარდა; განყოფილება 66 - საფინანსო მომსახურების და დაზღვევის დამხმარე საქმიანობები).

2017 წელს საფინანსო მომსახურების საქმიანობით დაკავებული საწარმოების საპროცენტო ხარჯებმა 1479,7 მლნ. ლარი შეადგინა. დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებაზე 819,9 მლნ. ლარი დაიხარჯა.

2017 წლის დასასრულისთვის საფინანსო მომსახურების საქმიანობით დაკავებული საწარმოების სალაროში განთავსებული იყო 1366,0 მლნ. ლარი ნაღდი ფულის სახით.

2017 წელს საფინანსო მომსახურების საქმიანობით დაკავებული საწარმოების ფიქსირებულ აქტივებში განხორციელდა 607,5 მლნ. ლარის ინვესტიცია. 2017 წლის ბოლოსთვის ფიქსირებული და არაწარმოებული აქტივების ნარჩენმა (საბალანსო) ღირებულებამ 1426,3 მლნ. ლარი შეადგინა.

2017 წელს საფინანსო მომსახურების საქმიანობით დაკავებულ საწარმოებში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენდა 37,8 ათას კაცს, რომელთაგან 61,4 პროცენტი ქალი იყო.

2017 წელს სადაზღვევო კომპანიების[2] მიერ გამომუშავებულმა პრემიამ (ბრუტო) 413,1 მლნ. ლარი შეადგინა, საიდანაც 43,4 პროცენტი სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევაზე მოდის, 17,7 პროცენტი - ქონების დაზღვევაზე, 15,5 პროცენტი - სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევაზე (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა), 7,0 პროცენტი - სიცოცხლის დაზღვევაზე, ხოლო დანარჩენი (16,4 პროცენტი) უბედური შემთხვევის და სხვა სახის დაზღვევაზე ნაწილდება.

2017 წელს სადაზღვევო კომპანიების მიერ დამდგარი სადაზღვევო ზარალი (ბრუტო) 251,0 მლნ. ლარით განისაზღვრა, რომლის 63,8 პროცენტი სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევაზე მოდის, 17,8 პროცენტი - სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევაზე (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა), 11,2 პროცენტი - ქონების დაზღვევაზე, 3,5 პროცენტი - სიცოცხლის დაზღვევაზე, დანარჩენი (3,7 პროცენტი) უბედური შემთხვევის და სხვა სახის დაზღვევაზე ნაწილდება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სადაზღვევო კომპანიების (პირდაპირი დაზღვევის საქმიანობის მიხედვით) მიერ 2017 წელს გამომუშავებული პრემია (ბრუტო) და დამდგარი სადაზღვევო ზარალი (ბრუტო) დაზღვევის სახეობების მიხედვით:

[2] წყარო: სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური (“პირდაპირი დაზღვევის” საქმიანობა, სახეობების მიხედვით).

 გრაფიკი №2

გამომუშავებული სადაზღვევო პრემია და დამდგარი ზარალი დაზღვევის სახეობების მიხედვით 2017 წელს (მლნ. ლარი)



საკონტაქტო პირები:

გიორგი სანაძე, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: gsanadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge